

საქართველო



იმისთანა წმინდა საცმეში, ბავშვებზე ბეჭდვით სიფყავს, ფეხებში და ჯიბეებში ბუბუბის გაფანა ყელს უკარბისდამაზე უსამატყისა.




რესპუბლიკა

თბილისი, 1 აგვისტო. 2018 წ. №154 (8555)

ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge

ფასი 50 თეთრი.

თავაზ მორაგებილი



სულხან მორაგებილი მკვლევების დასჯას საფლავიდანაც ③ იტხოვს

სინის მავივრად - პარლამენტში?!

ამერიკა კიდევ ერთხელ გეგმავს!



რუსეთი დღემდე იკავებს საქართველოს ტერიტორიას!

რუსეთის თავდასხმა საქართველოზე დაიწყო მაშინ, როდესაც რუსეთის არმია შეიჭრა სხვა სახელმწიფოს საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში...

კიდევ ერთხელ მოვუწოდებთ რუსეთს, გაიყვანოს თავისი ძალები ომამდელ პოზიციებზე. ეს ვალდებულება რუსეთმა 2008 წელს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ ხელშეკრულების ფარგლებში აიღო - ამის შესახებ საქართველოში აშშ-ის საელჩოს მიერ გავრცელებულ წერილშია ნათქვამი, რომელსაც საელჩო რუსეთ-საქართველოს ომის 10 წლისთავთან დაკავშირებით ავრცელებს:

„მომავალ კვირას 10 წელი შესრულდება მას შემდეგ, რაც რუსეთის შეიარაღებული ძალები საქართველოში საერთაშორისო საზღვრის გადმოლახვით შეიჭრა და შეეცადა, ეს საზღვრები ძალის გამოყენებით შეეცვალა. რამდენიმე ათასი რუსი ჯარისკაცი შევიდა ქალაქ გორსა და კონფლიქტის ზონიდან მოშორებულ სხვა ადგილებში, მაგალითად ფოთის პორტში - შორს მთავარი საბრძოლო არეალიდან.

რუსეთმა, ასევე, დაიკავა აფხაზეთის ის ბოლო მონაკვეთი, რომელსაც საქართველო აკონტროლებდა და სადაც ბრძოლა არ მიმდინარეობდა. რუსეთის თავდასხმა საქართველოზე დაიწყო მაშინ, როდესაც რუსეთის არმია შეიჭრა სხვა სახელმწიფოს საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში მისი ძალისმიერად შეცვლის მიზნით. რუსეთი დღემდე იკავებს საქართველოს ტერიტორიას.

ჩვენ კიდევ ერთხელ მოვუწოდებთ რუსეთს, გაიყვანოს თავისი ძალები ომამდელ პოზიციებზე. ეს ვალდებულება რუსეთმა 2008 წელს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ ხელშეკრულების ფარგლებში აიღო“, - ნათქვამია საელჩოს წერილში.

გერმანიის კანცლერი

ანგელა მერკელი მალე გვეწავს

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერის ვიზიტი საქართველოში, ორმხრივი ურთიერთობები და ქვეყნის ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის დღის წესრიგის ძირითადი საკითხები იყო მთავარი თემები საქართველოს პრემიერ-მინისტრ მამუკა ბახტაძისა და გერმანიის ელჩ ჰაიკე ფაიჩის შეხვედრაზე, რომელიც მთავრობის ადმინისტრაციაში გაიმართა.

პრემიერმა აღნიშნა, რომ მთავრობა ორმხრივი ურთიერთობების განვითარებაში უმნიშვნელოვანეს მოვლენად აფასებს კანცლერ მერკელის ოფიციალურ ვიზიტს საქართველოში, რომელიც უახლოეს მომავალში იგეგმება.

მამუკა ბახტაძემ საზი გაუსვა გერმანიის მნიშვნელოვან როლს ქვეყნის ინსტიტუციური განვითარების პროცესში. ყურადღება გამახვილდა სავაჭრო-ეკონომიკურ კავშირებზე და გერმანული ინვესტიციების ზრდაზე საქართველოში, ასევე - განათლების მნიშვნელობაზე მდგრადი ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფაში.



ანაკლია - ფოთი, ⑤ მითი და რეალობა

ფოთიდან 30 წელია, ღრმადღიანი პორტის მშენებლობის ნებას იტხოვს

საპატრიარქო მთავრობას მიმართავს! საკონსტიტუციო სასამართლო გასაუქმებელია! ④


26 წლის წინ საქართველო გაეროს წევრი გახდა

26 წლის წინ საქართველო გაეროს წევრი გახდა. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია - გაერო საყოველთაო მშვიდობის უზრუნველყოფისა და სახელმწიფოთა თანამშრომლობის საერთაშორისო ორგანიზაციაა. ის შეიქმნა 1945 წლის 26 ივნისს, როდესაც სან-ფრანცისკოს კონფერენციაზე 50 სახელმწიფომ ხელი მოაწერა მის წესდებას. წესდება ძალაში შევიდა 1945 წლის 24 ოქტომბერს. ეს დღე ყოველწლიურად აღინიშნება მსოფლიოში როგორც გაერთიანებული ერების დღე.

გაეროს შექმნის საფუძველი გახდა ნაცისტური გერმანიისა და მისი ბლოკის წინააღმდეგ მებრძოლ სახელმწიფოთა გაერთიანება მძლავრ კოალიციად. 1942 წლის 1 იანვარს მათ ხელი მოაწერეს „გაერთიანებული ერების დეკლარაციას“, რომლიდანაც შემდგომ წარმოსდგა ორგანიზაციის სახელწოდება.

განიზაციის სახელწოდება. გადანაცვლებულია ახალი საერთაშორისო ორგანიზაციის შექმნის თაობაზე მიიღო 3 დიდმა სახელმწიფომ - სსრკ, აშშ და დიდი ბრიტანეთი - 1943 წლის 30 ოქტომბერს მოსკოვის კონფერენციაზე, რაც გამოწვეული იყო ფაქტით, რომ „ერთა ლიგის“ არსებული ორგანიზაცია პოლიტიკური და ორგანიზაციული მანკიერების გამო უძლური აღმოჩნდა თავიდან აეცილებინა კაცობრიობისთვის მე-2 მსოფლიო ომი. ორგანიზაციის წესდება შემუშავებულ იქნა დუმბარტონ-ოქსის (1944 წლის აგვისტო) და ყირიმის (1945 წლის თებერვალი) კონფერენციებზე.

ამის შემდეგ გადაწყდა წესდების განსახილველად და მისაღებად სან-ფრანცისკოს კონფერენციის მოწვევა.



გაზეთის დახმარების მსურველებს: შეგიძლიათ, ნებისმიერი ოდენობის თანხა ჩაგვი- რიცხოთ შემდეგ ანგარიშზე: №GE19TB7601536020100009 (შპს „ახალი საუკუნე“).

მსოფლიო პატრიარქმა უკრაინისთვის ავტოკეფალიის მინიჭება საბოლოოდ გადაწყვიტა და ღია წერილით ეს გადაწყვეტილება მისმა დელეგაციამ 27 ივლისს, კიევის რუსეთის გაქრისტიანების 1030 წლის იუბილზე დღესასწაულზე ამცნო უკრაინას და უკრაინაში ზეიმზე შეკრებილი 10-მდე მართლმადიდებელი ეკლესიის დელეგაციას, რომელთა შორის საქართველოდან ზუგდიდისა და ცაიშის მიტროპოლიტი გერასიმეც იყო.

მსოფლიო პატრიარქმა უკრაინისთვის ავტოკეფალიის მინიჭება საბოლოოდ გადაწყვიტა და ღია წერილით ეს გადაწყვეტილება მისმა დელეგაციამ 27 ივლისს, კიევის რუსეთის გაქრისტიანების 1030 წლის იუბილზე დღესასწაულზე ამცნო უკრაინას და უკრაინაში ზეიმზე შეკრებილი 10-მდე მართლმადიდებელი ეკლესიის დელეგაციას, რომელთა შორის საქართველოდან ზუგდიდისა და ცაიშის მიტროპოლიტი გერასიმეც იყო.



მსოფლიო პატრიარქის ბართლომეს მიერ უკრაინაში გაგზავნილ წერილში პირველადაა ღიად და მკაფიოდ გაცხადებული, რომ კონსტანტინოპოლის ეკლესიამ თავის თავზე აიღო „ინიციატივა, აღადგინოს მართლმადიდებელი მორწმუნე უკრაინის ერთიანობა და საბოლოო მიზანი უკრაინის ეკლესიისთვის ავტოკეფალიის მინიჭებაა“. უკრაინის სასულიერო და პოლიტიკურ წრეებში უკვე სრულიად დარწმუნებულები არიან, რომ ავტოკეფალიის მინიჭების ტომოსს 2018 წლის ბოლომდე აუცილებლად მიიღებენ. დეკანოზი ანდრია ჯალმაიძე „თელ კვირასთან“ საუბრისას ამბობს, რომ კონსტანტინოპოლის პატრიარქის წერილი საპატრიარქოში ჯერ არ განუხილავთ და მხოლოდ განხილვის შემდეგ შეეძლება კომენტარი გააკეთოს წერილის შინაარსზეც და საქართველოს ეკლესიის პოზიციაზეც.

ეკონომიკური შედეგები ყოველ ჩვენთანვე აისახება

ატარის მთავრობის თავმჯდომარემ თორნიკე რიჟვაძემ მთავრობის დღევანდელ სხდომაზე ეკონომიკური პოლიტიკის შესახებაც ისაუბრა. მისი თქმით, ეკონომიკური შედეგები, რაც რეგიონში მიიღწევა, აჭარის თითოეულ მკვიდრზე უნდა აისახოს. თორნიკე რიჟვაძემ ასევე აღნიშნა, რომ საგადასახადო შედეგები აუცილებლად იქნება მიმართული აჭარისა და ბათუმის მეტი პოპულარიზაციისკენ და ხელს შეუწყობს დასაქმებას. „ეკონომიკური განვითარების ხაზი, რა თქმა უნდა, გადის ინველუზიურ ეკონომიკურ ზრდაზე და ეს გულისხმობს აჭარის თითოეულმა მკვიდრმა თავის თავზე იგრძნოს ის ეკონომიკური შედეგები, რაც ჩვენს ქვეყანაში მიიღწევა. ამისთვის კი ჩვენ გვაქვს კონკრეტული ეკონომიკური ინიციატივები, როგორც ტურიზმის, ასევე ეკონომიკის მიმართულებით, ასევე მომიჯნავე სექტორებში. შესაბამისად, ჩვენ ამ კონკრეტული ინიციატივებით ძალიან მალე შევძლებთ ჩვენი

საქმიანობის და ეკონომიკური პოლიტიკის გატარების შედეგები თითოეულმა ჩვენგანმა იგრძნოს. საგადასახადო შედეგები მიმართული იქნება აჭარისა და ბათუმის მეტი პოპულარიზაციისკენ. როგორც



კორპორატიული, ასევე წარმომადგენლობითი ოფისებისთვის შეიქმნება კონკრეტული საგადასახადო ინიციატივები, რომელიც ჩვენს რეგიონს მოუტანს როგორც ახალ წარმომადგენლობით ოფისებს, ასევე ხელს შეუწყობს დასაქმებას“, – აღნიშნა აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ.

ჩინ უნდა აწინასწარავს მსიკე და საშუალო სიმძლავრის ჰესების მშენებლობას?

ღია წერილი პარლამენტის უპრეზიდენტის ახალგაზრდულ ფრთას

ჩვენ, ტექნიკური დარგების წარმომადგენელთა ერთი ჯგუფი ვადასტურებთ ღრმა პატივისცემას პარლამენტის უმრავლესობის ახალგაზრდული ფრთის და პარლამენტის სხვა წევრების მიმართ თქვენ მიერ გაკეთებული განცხადებების, სამოქალაქო პოზიციის და გადაადგმული ნაბიჯების გამო.

აშშ-ში სენატორთა იმ ჯგუფის წინაშე, რომლის პროექტიც არის „მიხეილ სააკაშვილი“, ბატონი ირაკლი კობახიძის განცხადებამ – „თუ ბატონი სააკაშვილი საქართველოში ჩამოვა, მას დაიჭერენ“, ჩვენი და არა მარტო ჩვენი მოწონება დაიმსახურა.

პარლამენტის თავმჯდომარის ამ განცხადებამ ყველას გააგებინა, რომ საქართველო არის დამოუკიდებელი ქვეყანა, მისი პარლამენტი იღებს კანონებს და წარმართავს პოლიტიკას მხოლოდ ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე.

თუ პარლამენტი ეკონომიკის სფეროში ამ ნიშნით კანონების მიღებას და პოლიტიკის წარმართვას გააგრძელებს, ქვეყანა მოკლე დროში დაამარცხებს სიღარიბეს, დაასაქმებს უმუშევრებს, საქართველოდან საზღვარგარეთ აღარ გაიქცევიან ჩვენი მოქალაქენი, გაიზრდება თვითმმართველობის უფლებები, სრულფასოვნად გაგრძელდება ქვეყნის დემოკრატიზაცია.

ბატონ ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში დაბრუნება მის მიერ გადაადგმული ნაბიჯები, ჩვენი ღრმა რწმენით, ქვეყნის რეალურ ეკონომიკურ განვითარებას ემსახურება.

პარლამენტის ახალგაზრდულმა ფრთამ და სხვა პარლამენტარებმა გულდასმით უნდა შეისწავლოთ ქვეყნის ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ პარლამენტში შემოტანილი კანონის პროექტები, რომლებიც ეხება კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოებას, საწარმოო დანიშნულების ობიექტების მშენებლობას ბიუჯეტის დაფინანსებით. ექსპლოატაციაში გადაცემის შემდეგ უნდა მოხდეს ასეთი ობიექტების განსახელმწიფოებრიობა და ბიუჯეტს უნდა დაუბრუნდეს მშენებლობაზე ზედმეტად დახარჯული ფული.

საწარმოო დანიშნულების ობიექტების მშენებლობა უცხოური ინვესტიციებით ან ბანკების სესხებით ვერ ამართლებს, როგორც ეს განვლილი წლების გამოცდილებით დადასტურდა.

ჩვენ პარლამენტში შევიტანეთ კანონპროექტი, რომელიც ეხება მცირე და საშუალო სიმძლავრის ჰესების მშენებლობას ბიუჯეტის დაფინანსებით. პროექტით გათვალისწინებულია თვითმმართველობის ჩართვა ჰესების მიერ ელექტროენერჯის რეალიზაციის პროცესში ელემენტალური კანონიერების დაცვის მიზნით.

პარლამენტის შესაბამის კომიტეტს არც განუხილავს საკითხი იმ საბაბით, რომ „ევროპის ენერჯეტიკული გაერთიანების ექსპერტების დახმარებით მიმდინარეობს მუშაობა კანონპროექტზე ენერჯეტიკის შესახებ“.

როგორც ცნობილია, ბიზნესის განვითარების თაობაზე რაიმე კანონი არ გაგვანია, ასეთ პირობებში გაუგებარია, როგორ „ახერხებს“ პარლამენტი მილიარდობით უცხოური ინვესტიციის შემოდინებას.

მცირე და საშუალო სიმძლავრის ჰესების მშენებლობის დაფინანსების კანონპროექტს ჩვენ კვლავ შემოვიტანთ თქვენს განსახილველად. იმედი გვაქვს, რომ პროექტის განხილვა მოხდება შესაბამის კომიტეტში, დაინტერესებულ პირთა დასწრებით და ამის შემდეგ მოხდება პროექტების მიღება ან დაწუნება.

ველით თქვენს ყურადღებას და თანადგომას.

ნუზარ კობახიძე



გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციას

პირფასო მებოგრობო! გილოცავთ საუკუნოვან იუბილეს, გისურვებთ კვლავ მედგრად დგომას ქართველი ხალხის, ქართული სიტყვის სადარაჯოზე. პატივისცემით თქვენი მამარტაქიძე, აკადემიკოსი.



თქვენს სიბრძნეს და გონიერებას უთამოვავლობა ჯეროვნად დააფასებს

გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკას“ 100 წელი შეუსრულდა.

„საქართველოს რესპუბლიკა“ ერთ-ერთი კითხვადი გაზეთია იმ მრავალრიცხოვან საგაზეთო ინდუსტრიაში, რომელმაც წაღვეს საქართველო და გამაღებთ ცდილობს ხალხის ერთმანეთთან დაპირისპირებას. „მადლობა უფალს, რომ ამ ბაკქანალიაში არსებობენ გაზეთები („ასავალ-დასავალი“, „საქართველო და მსოფლიო“, „ალია“ და კიდევ რამდენიმე), რომელთა შორისაც ობიექტურობით გამოირჩეულია „საქართველოს რესპუბლიკა“. ის ჩემი გაზეთიცაა, რომელთანაც ვთანამშრომლობ, თითქმის 30 წელიწადია და ბედნიერი ვარ იმით, რომ ვიცნობ ყველას, ვინც ამ გაზეთში მუშაობდა და მუშაობს. რომ არა მათი დიდი პროფესიონალიზმი, თავდადება და სიმამაცე, გაზეთი, ალბათ, კარგა ხნის ჩაიბრუნებოდა.

გაზეთთან ჩემი მეგობრობა ცნობილი მწერლის გურამ გოგიაშვილის რედაქტორობიდან დაიწყო, შემდეგ იყვნენ არმაზ სანებლიძე, რუსლან რუსია, ალექსანდრე ნიშვილი. დღეს გაზეთს სათავეში სპარტაკ ქობულაია უდგას.

მიუხედავად დიდი პრობლემებისა, გაჭირვებისა, რედაქციის სადგომის მუდმივი ცვლისა, ამ ხალხმა ქართველებს შეგინარჩუნა გაზეთი, რომელიც მხოლოდ სიმართლეს წერს და ამიტომაცაა მის ირგვლივ შემოკრებილი ცნობილი პუბლიცისტების დიდი წრე, რომელთა შორის ჩემ თავსაც მოვიზარებ.

ძვირფასო მეგობრებო, თქვენ და თქვენს მეგობრებს ზეიმი გვაქვს, საუკუნოვანი გაზეთის ბოლო ათწლეულებმა ჩვენს ხელში გაიარა, თქვენს სიბრძნეს და გონიერებას უთამოვავლობა ჯეროვნად დააფასებს და ვფიქრობ, ეს ძალიან დიდი პატივია.

ამჯერად გაზეთის ანგარიშზე გადავრიცხავ 100 ლარს და მის ერთგულ მკითხველს მოვუწოდებ, თუნდაც ერთ ლარი მაინც გადავრიცხონ გაზეთის ანგარიშზე, რათა გადავარჩინოთ იგი.

ნაპოლეონ ძარბაძე, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე, აკადემიკოსი




გონის გიჭრით და კალამის!

ვეხმაურებით მთავარი რედაქტორის წერილს – „გადაღობა, მკითხველო“

ლამის ცრემლები მადინა თქვენმა ტკბილმწარე ენამა, ვერა, ვერ დაგთმობთ ნამდვილად, „შოთაის სულის ლხენამა“.

ნურც სისხლი გამოგიშრებათ, ნურცა კალამში მელანი, ვინც გვერდით არ დაგიდგებათ, შემირცხვენია ყველანი!

დრომ ყველას ნათლად აჩვენა, გონიც გიჭრით და კალამიც, „ღმერთმა გიკურთხოთ მარჯვენა, მალლა გეჭიროთ ალამი!“ გურამ შავშანიძე





„სამართლიანობის აღდგენას არ სჭირდება არც ინვესტიციები და ის არც დროში განვლილი პროცესია. სამართლიანობის აღდგენას მხოლოდ სახელმწიფოებრივი ნება განსაზღვრავს“.

ეს ფრაზა სოზარ სუბარმა 2012 წლის ზაფხულში მედია-კავშირი „ობიექტივის“ ერთ-ერთ გადაცემაში განაცხადა.

ალარ გავიმეორებ მრავალჯერ დანერგილ სიტყვებს, რომ სამართლიანობის აღდგენის ხარისხი ექვსი წლის განმავლობაში დაბრუნებული რამდენიმე ავტომობილით და სხვა უძრავ-მოძრავი ქონებით არ განისაზღვრება, რომ სამართლიანობა, პირველ რიგში, ზუსტი და მკაცრი შეფასება და ხალხში იმ იმედის ჩასახვაა, რომ კანონი მუდამ აღსრულდება, აღსრულდება თუნდაც ქვეყნიერება დაიქცეს.

არადა, რეალურად თუ შევხედავთ „ქვეყნიერების დაქცევა“ სულაც არ არის საჭირო იმისთვის, რომ დამნაშავეებმა პასუხი აგონ და სახელმწიფოს უმალლეს საკანონმდებლო ორგანოში კი არ გაითბონ საჯდომები, არამედ კანონით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლით მოიხადონ სასჯელი.

საშინლად არ მიყვარს იმ ავბედით „წელზე“ აპელირება. არ მიყვარს, რადგანაც მის შემდეგ კარგა ხანი გავიდა და თუ რეალურად შევხედავთ, სახელმწიფოში ისევ ის ბანდა წყვეტს საშინაო თუ საგარეო პოლიტიკას, რომელთა ბოგინის მოსაშორებლად 2012 წლის ოქტომბერში საქართველოს მოსახლეობა ფეხზე დადგა.

ამ ხანის მიერ ჩადენილი ერთ-ერთი ამაზრზვანი დანაშაული იყო სულხან მოლაშვილის მკვლელობა.

დაიხ, სწორედ რომ მკვლელობა და არ მინდა იმ „ცივილური“ და „დემოკრატიული“ შეძახილების გაგონება, რომ „გამოძიება მიმდინარეობს“, „სასამართლოს გადაწყვეტილება არ დამდგარა“ და ე.წ. „სტრენინგზე“ დაზეპირებული მრავალი უაზრო გამონათქვამი, რომლებიც კიდევ უფრო გამაღვიზიანებელი და დამამცირებელია.

მე პირადად სულხან მოლაშვილი ახლოს 2009 წელს, ე.წ. „საკნების აქციაზე“ გავიცანი. გავიცანი №135 საკანში განთავსებულ, „ქუჩის გაზეთი“ „შანსის“ რედაქციასთან, რომელიც ყოველდღე იბეჭდებოდა და აქციის მონაწილეთა შორის უფასოდ ვრცელდებოდა. ძალიან გვიჭირდა გაზეთის გამოცემა, ჩასაფრებული ზონდერების შიშს რომ თავი დავანებოთ, პრობლემა გაზეთის დაბეჭდვა იყო. დაბეჭდვის თანხას ხალხი იქვე დადგმულ შემონირულობის ყუთში ყრიდა, ხუთი თეთრიდან დანებებული, რამდენიმე ლარით დამთავრებული. ის პოლიტიკოსები კი, რომლებიც პარლამენტის წინ განთავსებულ კოდექსზე (დაიხ, სწორედ რომ „პოლიუმზე“) მსოფლიო სიტყვებით გამოდიოდნენ, გვერდს უვლიდნენ რედაქციას (ამის შესახებ მაშინაც დამინერია). მხოლოდ ლევან გაჩეჩილაძე, ვინც კორკოტაშვილი და ბიძინა გეგეიძე გვედგნენ გვერდში.

ყველაზე გაჭირვებულ დროს ჩვენთან მოვიდა სულხან მოლაშვილი, რომელმაც ორი ნომრის გამოსაშვები თანხა შემოსწირა გაზეთს.

სამწუხაროდ, მასთან ინტერვიუს ჩანერა და საზოგადოებისთვის იმ საშინელებების გაცნობა, რაც მან გადაიტანა, მაშინ ვერ მოვახერხეთ.

მას შემდეგ ბევრი რამ ითქვა, ბევრიც დაინერა, მაგრამ, სამწუხაროდ, გარდა ჭრილობაზე მარილის დაყრისა, არაფერი შეცვლილა.

ხელისუფლებისა და საზოგადოების უმოქმედობასთან დაკავშირებით ჩნდება მრავალი შეკითხვა, რომლებზეც პასუხის გაცემა აუცილებელია, მაგრამ ვერა და ვერ ვცდებულვით.

ბატონ თამაზ მოლაშვილს ვისაუბრე. ძალიან ძნელი იყო ჩემთვის იმ კაცთან საუბარი, ვინც შვილიც მკვლელთა ხანდის რაჟიმის მსხვერპლის სიმატელოდ იქცა. იქცა საზოგადოებაში ჩაკლული პროტესტის გაღვივების სიმატელოდ.



სულხან მოლაშვილი მკვლელების დასჯას საფლავიდანაც ითხოვს

ციხის მაგივრად - პარლამენტში?!

სწორად ვიყენებ სიტყვას „ბანდა“, მაგრამ შეუძლებელია ნაცებს (ორივეს) უწოდო „ხელისუფლება“, „პოლიტიკური ძალა“, ან თუნდაც „რეჟიმი“. შეუძლებელია, რადგანაც მათი ნებისმიერი ქმედება ხორციელდებოდა სწორედ იმის გამო, რომ ბანდის ქმედების პრინციპით - არ დატოვონ ცოცხალი არავინ, ვინც მათ ხელს შეუშლის, გაანადგურონ ბოლომდე, ოჯახს წაართვან არსებობის საშუალება, დააშინონ და წინების ქვეშ მოაქციონ არა მარტო ახლობლები, არა-

მედ ყველა, ვისაც შესაძლოა რაიმე შეკითხვა, ან პროტესტი გაუჩნდეს. ხალხს ჩაუწერდნენ აზრი, რომ წინააღმდეგობას არანაირი აზრი არა აქვს.

— როდესაც ევროსასამართლომ სულხანი ოთხ პუნქტში გაამართლა, მეგობრებმა უთხრეს, იქნებ სარჩელი შეიტანო და სტრასბურგის გადაწყვეტილების აღსრულება ძიების ხელახალი დაწყების საკითხში მოითხოვო. სულხანმა გაიცინა და ცივი უარი განაცხადა. — სად ვიჩივლო, ვის მივმართო ხელახალი გამოძიების მოთხოვნით? ისევ ამით ხელში უნდა გაიაროს ჩემმა საქმემ. ისევ კუბლაშვილმა, მეიშვილმა, კაპანაძემ და მურუსიძემ უნდა განიხილონ ჩემი საქმე. აზრი არა აქვს რაიმეს დაწყებას. მოკლედ რომ გითხრა, იმათ ხელში სულხანს, რომელიც თავადაც ძალიან კარგი იურისტი იყო, გადაწერილი ჰქონდა სიმართლის დადგენის იმედი. რაც შეეხება საზოგადოების მხარდაჭერას, სამწუხაროდ, გამიჩნდა შეგრძნება „სხვისი ჭირი, ლობეს ჩხირი“. ხალხის დიდ ნაწილს არ აინტერესებს სხვისი პრობლემები. ერთადერთი საქართველოს პატრიოტთა ალიანსი აკეთებს ყველაფერს, რათა ხალხი გამოფხიზლდეს, რათა გაიგონ, რომ სანამ მკვლელები ისევ ბოგინობენ, საშიშროება ყოველთვის იქნება. როცა სულხანი ციხეში ელენე თევდორაძემ და მათიას იორშმა მოინახულეს, გულშენუხებულნი გამოვიდნენ, ისეთ მდგომარეობაში დახვდით. უგულავა კი ისეთი ნაპატიები გამოვიდა, გეგონებოდა რომ ციხეში კი არა, სადღაც კარგ კურორტზე იყო დასასვენებლად. სულხანი მხოლოდ სტრასბურგის გადაწყვეტილების შემდეგ გადაიყვანეს ციხის საავადმყოფოში და იქაც პროვოკაციებს უწყობდნენ. ექიმიც კი, სახელად ჯურხა, გვარი ალარ მასსოვს, იყო ამ პროვოკაციებში ჩართული. ვინ იცის, რა ნამლებს უკეთებდნენ ან ასევედნენ ვითომდა მკურნალობის მიზნით. საზღვარგარეთ მეორედ ორი მიზეზის გამო წავიდა. პირველი ის იყო, რომ ხელახლა დაჭერას გარიდებოდა და მეორე კი ემყურნალა. აგარაკის ე. წ. „ჩამორთმევა“? საშინელი შეურაცხყოფა



და ტყუილი. ის აგარაკი გვაყიდინეს. მეგობრებმა, ახლობლებმა შეაგროვეს თანხა. გაფორმების პროცედურა, რომელსაც საკმაოდ დრო სჭირდება, თხუთმეტ წუთში მოაგვარეს. გრიგალაშვილი, რომელიც უკანასკნელი ვაჭრუკანასავით გვპირდებოდა, ხვალ თორმეტ საათზე სულხანი სახლში იქნება, ჩვეულებრივი აფერისტი აღმოჩნდა. მათი სურვილი იყო, რომ ოჯახი ვალეებში ჩავარდნილიყო და ბრძოლის თავი არ ჰქონოდა. ყველანაირად ცდილობდნენ ჩვენს გატყუებას, მაგრამ სულხანმა, მისმა მეუღლემ და ძმამ, ყველაზე გაიმარჯვეს.

ცხადია, სააკაშვილის გაგდება ძალიან დიდი სიკეთეა, მაგრამ ეს სიკეთე უკუღმა ბრუნდება. დღეს გიგა ბოკერია პარლამენტშია და მან უნდა გამოიძიოს სორავას ქუჩის ტრაგედიის საქმე? როგორ წარმოგიდგენიათ, ახლა სულხანი რომ ცოცხალი ყოფილიყო და მას დაეწერა თხოვნა, ბოკერიამ გამოიძიოს ჩემი წამების საქმე?

ხელისუფლებამ რაღაც უნდა მოიმოქმედოს. რაღაც, თუნდაც ყველაზე რბილი სანქციები დაუნესოს, ის, კი პირიქით. თავზე გვასვამს და მასხრად იგდებს ჩემნაირ ხალხს. გუშინ არ მქონდა იმედი, დღესაც არ მაქვს. ერთი ისდა დამრჩენია, რომ როცა სულხანთან წავალ, ვუთხრა — სამართალმა იზეიმო-მეთქი.

პირაფარს ვიტყვი. პირაფარს, რადგანაც ყველაზე საშიშნელი იმედის დაპარებაა. იმედის, რომელიც სიცოცხლის სხივს ალვინებს ალამიანში და თუ ეს სხივი არ გვიქანა, საფლავიდან წამომდგარ ზომბაბად იქცევა მთელი საზოგადოება.

იმის იმედს, რომ ეს სხივი არ ჩაქრება, ის მეზობელი სული მაძლევს, რაც არსებობს და რასაც ამ ბოლო დროს საქართველოს პატრიოტთა ალიანსის ლიდერის ირმა ინაშვილის აქტიურობა გვაჩვენებს.


აქტიურობა, რომელიც არა რაღაც ეფემერული „მარიატობის“ საჩვენებლად, არა რაღაც პოლიტიკური ქულეების მოსაპოვებლად, არამედ რეალურად შესაძლებელი ქმედების განხორციელების კენ არის მიმართული.

გთავაზობთ ირმა ინაშვილის ერთ-ერთ ბოლო ფეისბუქ პოსტს:

2004-2011 წლების იმ საქმეებზე ვმუშაობ, რომელთა ირგვლივ გამოძიება დღემდე მიმდინარეობს. განსაკუთრებით საინტერესოა მტკიცებულებების თითქმისა და არარსებობის გამო დასურული საქმეები. საჯაროდ მივმართავ ყველა იმ ადამიანს, რომელსაც შეუძლია ფასეული ინფორმაცია მომანოდოს 2004-2011 წლების საქმეების შესახებ: მაინტერესებს სულხან მოლაშვილის წამების ეპიზოდი... ვინც შეესწართ ამ დანაშაულის დაგეგმვის, თავად წამების ფაქტს, მომანვადინეთ მხა. მაინტერესებს ციხის ბუნტის ეპიზოდი. კარგი იქნება, თუ ციხის მაშინდელი თანამშრომლები შემეხმანებით. ტელეფონით ნუ დამიკავშირდებით. არც „ფეისბუქში“ მომწეროთ. დარწმუნებული ვარ, მოახერხებთ პირადად ნახვას.

2012-2018 წლების საქმეების ჯერაც დგება. იმ პირების მხილების, ვინც ზემოხსენებული საქმეები მიზანმიმართულად გაყინა.

აქ უკვე საზოგადოებაც უნდა ჩაერთოს. მხოლოდ ერთი პარტიის, ან დეპუტატის ბრძოლა საკმარისი არ არის. ხალხმა უნდა თქვას თავისი სათქმელი და იმ ბანდის წევრებს, რომლებიც რევანშისტების აქტიურად იბრძვიან, საერთოდ უნდა დაუკარგონ ხელისუფლებაში დაბრუნების ესოდენ გამძაფრებული მადა და სურვილი.



მონოტონიის ქვეყნად რამდენიმე კანონი არსებობს, რომელსაც შეცვლა არ უწევია. თუნდაც ის, რომ სიცოცხლიდან იზადება ახალი სიცოცხლე, თანაც ისე, რომ წინა თაობათა სიცოცხლესთან არც გენეტიკურ და უმეტესად, არც სულიერ კავშირს არ წყვეტს. ანალოგიურად იზადება, იზრდება, ვითარდება მწერლობაც. ისიც ცოცხალი ორგანიზმივითაა, ისიც წინა თაობის საძირკვიდან ამოზრდილი ქმნილებაა, რომელიც იკვებება წარსულის მონაპოვრით და მის გაგრძელებას, განხილვას, შეფასებასა თუ დაფასებას წარმოადგენს.

სწორედ ამის დასტურია როსტომ ჩხეიძის ახალმოზილი და ფართო მასშტაბისთვის უკვე კარგად ცნობილი ლინგვისტური რომანიც: „ჟარგონი და მეტსახელი, და კიდევ ტოპონიმია და ხეთური სამყარო“.

წინის სათაურმა, ალბათ, ბევრი დააფიქრა და მათ შორის მეც. ჟარგონი, მეტსახელი, ტოპონიმია, ხეთური სამყარო, — კვითხულობდი ყდაზე დატანილ სიტყვებს და ვფიქრობდი, ნუთუ შეიძლება ამ ტერმინებთან მსატერულულობას ჰქონდეს საქმე? ნუთუ შეიძლება მათით შექმნილ ტექსტს რომანი დავარქვათ? მაგრამ შესაძლებელი ყოფილა. თვითონ ავტორმა ერთგან აღნიშნა, რომ: „კომპოზიციური სტრუქტურა და არქიტექტონიკა მართლაც რომანად აქცევენ-მეთქი“.

ჩემი თვალითაც დანახული აღნაგობა ტექსტისა, მისი ლინგვისტურ რომანად მოხსენიების საშუალებას მძღვეს. ხოლო მწერლისავე განმარტებით: „ლინგვისტურობა ნაკლი კი არ არის, თავისებურებაა“.

ვიდრე რომანის მიმოხილვას შევუდეგებოდი, გავიმეორებ ავტორის სიტყვებს, რომ: „ამოსავალი ამ ლინგვისტური რომანისა ოთარ ჩხეიძის შემოქმედებითი ლაბორატორიაა“.

საკითხავია, რით აღმოჩნდა ეს „შემოქმედებითი ლაბორატორია“ და მასზედ დაშენებული რომანი საინტერესო? რით გამოიწვია ლიტერატურულ თუ ენათმეცნიერულ წრეებში ასეთი აჟიოტაჟი? ალბათ იმით, რომ ის, რაც რჩება და მწერლობის კულისებში, ხელში უწვდომელი მასალა იყო მკითხველსა-ზოგადოებისათვის, ან უბრალოდ მკვეთრი ყურადღება არ იყო გამახვილებული რიგ საკითხებზე. ბატონმა როსტომმა შეძლო, მზის შუქზე გამოეცხა ის მუტად მნიშვნელოვანი მეცნიერული მასალები, საიდანაც ბევრი რამ ჯერაც გა-

ვიდრე ლინგვისტურ ზნებად გადაიქცეოდა


ლინგვისტური რომანი თუ რომან-ლინგვისტური?

მოუქვეყნებელია; მან წარმოგვიჩინა არაერთი საზოგადო მოღვაწის ღვაწლადამსახურება ენობრივი თუ ენათმეცნიერული თვალსაზრისით. ამ ყოველივემ კი დაიმსახურა ჩვენი, მკითხველის ღრმა ინტერესი.

რომანში პირველად საუბარია ჟარგონზე, რომელსაც ენის შემბლაღავ ენობრივ მოვლენად მოვიხსენიებთ. მაგრამ მისი არსებობაც ხომ გარდაუვალა. ის იყო, არის და იქნება, რის საილუსტრაციოდაც მწერალს მაგალითი მოჰყავს თვით მე-10 საუკუნის ჰაგიოგრაფიული ძეგლის „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ იმ ეპიზოდებიდან, როდესაც უკეთური ცქირი დაავალეს ვინმე ან ჩელ ერისკაცს გრიგოლის მოკვლას. აქ ერისკაცი იწოდება „მაგრიად მოისარად“. როსტომ ჩხეიძე იმონებს ნინო ვახანიას ვარაუდს, რომ „მაგრიად“ ამ კონტექსტში ნაბაგავს ჟარგონს და ნიშნავს „მაგარს“. აღვნიშნავ, რომ ამ სიტყვას დღემდე აქტიურად იყენებენ ჟარგონულ ტექსტში, მაგრამ კიდევ ამგვარი ჟარგონის გამოყენება სჯობს თუნდაც იმ ქუთუდულ ჟარგონს, რომელიც მშობელი დედისადმი სექსუალურად ორიენტირებულ გინებას გამოხატავს და რაც ძლიერ ამახინჯებს ჩვენს თანამედროვე ყოფასა და ლიტერატურას.

ვერ ვიტყვით, რომ რომანის ავტორი უარყოფდეს ჟარგონს. ის უბრალოდ მიუთითებს მისი გამოყენების ზომიერებას, რომ უადგილო არაფერი ვარგა, რომ ვიცოდეთ დანიშნულება და არსი ჩვენ მიერ გამოყენებული სიტყვებისა.

აღსანიშნავია, რომ ტექსტში ვრცელდება საუბარის ლევიან ბრეგადის, „ქართული ჟარგონის ლექსიკონის“, ოთარ ჩხეიძის, მიხეილ ჯავახიშვილის, იოსებ გრიშაშვილის, კონსტანტინე გამსახურ-



ღისა და სხვათა შეხედულებების შესახებ, რითაც რომანი ერთგვარ რომან-ლექსიკონად გვევლინება, როგორც ეს თამილა ზვიდაძემ აღნიშნა.

საინტერესო ცნობებს გვაძლევს როსტომ ჩხეიძე ზედმეტსახელებზე მიხეილ ჯავახიშვილის, შალვა დადიანის, ვასილ ბარნოვის, გიორგი ლეონიძისა და სხვების შემოქმედებიდან. განიხილავს ელენე კოპორიძის ნაშრომს „მეტსახელთა მოტივაციისა და წარმოების შესახებ გარეკახურში“, რომელშიც მეტსახელები იყოფიან გარკვეულ ჯგუფებად. კერძოდ, რაიმე ნიშან-თვისების მიხედვით შერქმეული სახელები, წარმოშობის სახელთაგან წარმოქმნილი

მეტსახელები, მამის მეტსახელიდან მომდინარე მეტსახელები და სხვ.

ეს კი ის სახელებია, ის თემაა, რომელიც ლიტერატურისთვისაც კარგად ნაცნობია. სწორად ხომ მათშივეა ჩაკირული მთელი იდეა იმისა, რისი თქმაც გაშლილი ტექსტით უნევს მწერალს.

მეტსახელების გვერდით ტოპონიმებზეც მნიშვნელოვან ინფორმაციას ვაწყდებით რომანში, რაც ნადილს გვიღვივებს ტოპონიმკოსობისას, და რითაც სამართლიანად მიმჩნია, რომ ლინგვისტური რომანის პარალელურად მას რომან-ლექსიკონიც ვუნდოდოთ.

ჩემთვის ყველაზე ღირებული რომანის ბოლო თავი აღმოჩნდა, კერძოდ, „ხეთური სამყარო“, რომელშიც საუბარია პავლე ინგოროყვას გამოუქვეყნებელ მონოგრაფიაზე „ხეთური იეროგლიფური დამწერლობა“ და ლეო ქიჩელიძის მოთხრობა „ხეთიანის საიდუმლო“. „მწერალი ყურადღებას ამახვილებს პავლე ინგოროყვას ნაშრომზე, საუბრობს მის ღირსებაზე, ღირებულებაზე, მოჰყავს მეცნიერის დაკვირვებანი ხეთური იეროგლიფური დამწერლობის სისტემის, მისი ფონეტიკური ნიშნების ტიპოლოგიური ჯგუფების, ქართულ-ხეთური პარალელულობა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ.

დასასრულ მინდა, აღვნიშნო ქართულ-გერმანული ენათმეცნიერულ-ლიტერატურული ურთიერთობა, რომელიც დღეს წარმატებულად ხორციელდება და რასაც რომანშიც ნათელიყვას ცნობილ გერმანულ ქართველოლოგთან, ენათმეცნიერ და მთარგმნელ ჰაინც ფერისთან საუბარი.

ამგვარად, როსტომ ჩხეიძე გვევლინება უმნიშვნელოვანეს მეცნიერულ საკითხთა ინფორმატორად, რომელმაც დიდი მწერლური გემოვნებით შეადუღა კრებული ენათმეცნიერული ნარკვევებისა. დაბოლოს იმასაც აღვნიშნავ, რომ მას ერთბაშად არ დაუწყია ფიქრი ზემოთ ხსენებულ საკითხებზე. ბავშვობიდანვე ჰქონია ინტერესი ლინგვისტურში თემების მიმართ. სწორედ ამ ინტერესმა იგორა, იგორა თოვლის გუნდასავით, ვიდრე ლინგვისტურ ზვავად გადაიქცეოდა და ასე აღტაცებით აგვალაპარაკებდა სტუდენტებს, ენათმეცნიერებს, ლიტერატორებსა და, ზოგადად, ამ საკითხებით დაინტერესებულ მკითხველს.

ლიკა თიბატაშვილი

მწერალი რეალობა

მივიწყებული ეზოს თამაშები

სპორტის მასობრიობა და მასში ახალგაზრდების ჩართულობა ქვეყნის უმთავრესი საზრუნავი უნდა იყოს, რადგან ჯანმრთელი თაობა ქვეყნის სიმდიდრე და წარმატებული მომავალია. ვინ ჩამოთვლის იმ სიკეთეს, რაც ბავშვებისთვის ეზოს თამაშებს მოუტანია.

რეზაში, სულ უფრო დაშორდა ის და ეზო ერთმანეთს. მოზარდს დღეს არანაირი სურვილი არა აქვს, ჩავიდეს ეზოში და ფეხბურთით და სხვა სპორტული თამაშებით იჯეროს გული.

ვარულს ეზოში თამაშით სწავლობს. მშობლების ასეთი მიდგომით ბავშვის სპორტისადმი სიყვარული უცხო ცნებად რჩება და იკარგება ბავშვობის წლებში, შემდგომში უკვე დიდობაში, ახალგაზრდას უჭირს წარმოქმნილი პრობლემების დამოუკიდებლად გადაწყვეტა. რაც შეეხება მოზარდის ნიჭიერებას, ჩემმა მრავალწლიანმა პედაგოგიურმა საქმიანობამ ერთ ტექნიკურ ტრენინგში დამარწმუნა: ნიჭიერება, არის შრომისმოყვარეობის უნარი. სამშობლოს სიყვარული და პატრიოტიზმი თითქმის უცხო ცნებად რჩება მოზარდისათვის, რადგან ერთეული გამონაკლისების გარდა ამ თემაზე მათ თითქმის არავინ ესაუბრება. საქმის და ქვეყნის სიყვარულს ბავშვი ეზოს თამაშებში სწავლობს. ამიტომ მოგიწოდებთ მოზარდებს — ბაღში ეზოში და სპორტული თამაშებით იჯერეთ გული, ბავშვობის წლები იმა ჩაბირობანთ, რომ უკან მოხედავასაც ვერ მოხსენიებთ.



დაწარდის თამაშით თუ იყოლიებს თავს და გინდა თუ არ გინდა, შორეულ წარსულსა და დღევანდელს შორის გინდეს პარალელების გაკვლევა, ჩემმა მოსაზრებამ არა მგონია ვინმე დააფიქროს, მაგრამ შემოძლია დანახული მწარერეალობა შეგახსენოთ. ყველა ვთანხმდებით ერთ საჭირობო საკითხზე: რაც კომპიუტერები, მობილური ტელეფონები, მრავალფეროვანი სამაგიდო თამაშები დამკვიდრდა მოზარდის ცნობი-

ბავშვის აღზრდაში მშობლებს უდიდესი პასუხისმგებლობა აკისრიათ, მაგრამ გინახავთ ოდესმე ამდენი ავტომანქანები სკოლის წინ, როცა „მზრუნველ“ მშობლებს შვილები დილით ავტომანქანით მიჰყავთ სკოლაში და გაკვეთილების შემდეგ ისევ მანქანით მოჰყავთ სახლში, ასეთი კატეგორიის მშობლებს ჰგონიათ, რომ შვილს ცივ ნიავს არ აკარებენ, არადა მოზარდი სპორტის სიყ-

ვარულს ეზოში თამაშით სწავლობს. მშობლების ასეთი მიდგომით ბავშვის სპორტისადმი სიყვარული უცხო ცნებად რჩება და იკარგება ბავშვობის წლებში, შემდგომში უკვე დიდობაში, ახალგაზრდას უჭირს წარმოქმნილი პრობლემების დამოუკიდებლად გადაწყვეტა. რაც შეეხება მოზარდის ნიჭიერებას, ჩემმა მრავალწლიანმა პედაგოგიურმა საქმიანობამ ერთ ტექნიკურ ტრენინგში დამარწმუნა: ნიჭიერება, არის შრომისმოყვარეობის უნარი. სამშობლოს სიყვარული და პატრიოტიზმი თითქმის უცხო ცნებად რჩება მოზარდისათვის, რადგან ერთეული გამონაკლისების გარდა ამ თემაზე მათ თითქმის არავინ ესაუბრება. საქმის და ქვეყნის სიყვარულს ბავშვი ეზოს თამაშებში სწავლობს. ამიტომ მოგიწოდებთ მოზარდებს — ბაღში ეზოში და სპორტული თამაშებით იჯერეთ გული, ბავშვობის წლები იმა ჩაბირობანთ, რომ უკან მოხედავასაც ვერ მოხსენიებთ.

ბაჟან ჩხეიძე
555 41 97 33. მესტაფონი

სამკრთველს რესპონსია

ს.ს. „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“

აცხადებს აუქციონს პირობებით

მის ბალანსზე რიცხვული დემონსტრირებადი ან/და გამომუსაღებარი ძირითადი საშუალებების ბაჟიღვის მიხედვით 1 (ერთ) ლოტად

დეტალური ინფორმაცია (ჩამონათვალი, დასაწყობების/განათავსების ადგილი, ტექნიკური მდგომარეობა, საწყისი გასაყიდი ფასების ცხრილი და ა.შ.) მოცემულია დანართ №1-ში, რომელიც განათავსებულია ვებ-გვერდზე www.gse.com.ge, საუქციონო განცხადებების შესაბამის გვერდზე, ხოლო აღნიშნული აქტივების ფოტოსურათები ავტორიზებული არის შემდეგ ვებ-მისამართზე (ლინკზე):

https://drive.google.com/drive/folders/1ksOUg_wllDHSw24QAVBFdJR2hwdhXu2?usp=sharing

ს.ს. „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“
საკონტაქტო პირი: გიორგი ოდიშვილი
ტელეფონი: ქალაქის 2-510-281; მობილურის 577 240-233.

რეკლამა

„საქართველო სრესბუბლიკა ში“
კოსტავას ქ. №21.
599 79-76-79; 568 82-09-84

ტალანტი

ლუკა ალავიძე და JUNIOR NBA

ზაზა ფაჩულიას აკადემიის გუნდის მოთამაშე ლუკა ალავიძე Junior NBA-ს მსოფლიო ჩემპიონატზე გაემგზავრა, სადაც ევროპის ნაკრებში ითამაშებს.

ტურნირი ამერიკაში გაიმართება და მანამდე ევროპელები შეკრებას ვალენსიაში გაივლიან.

ლუკა 4 აგვისტომდე ესპანეთში იქნება, საიდანაც ჯერ მაიაში ჩაფრინდება, ხოლო იქიდან – ორლანდოში.

როგორ ფორმაში ხარ?

ლუკა ალავიძე: „ზაზას აკადემიაში პირადად მავარჯიშებდა დავით მუმლაძე. მინდა, მას მადლობა გადავუხადო საინტერესო ვარჯიშებისთვის. ვფიქრობ, ცუდ ფორმაში არ ვარ.“

ზაზა ფაჩულიასთან შეხვედრაზე რას იტყვი?

ლუკა: „ზაზასთან შეხვედრა ძალიან ბევრს ნიშნავს. იგი ჩემთვის და, ალბათ, კალათბურთის ყველა ქართველი გულშემატკივრისთვის მაგალითია. ყოველთვის კარგ რჩევებს მაძლევს.“

ნერვიულობ?

ლუკა: „არ ვიცი. არ მიფიქრია, ვნერვიულობ თუ არა. უფრო თამაშზე, ამერიკაში გასატარებელ დღეებზე და ესპანეთში ვარჯიშზე ვფიქრობ.“

ადევნებ თვალს NBA-ს ტრანსფერებს?

ლუკა: „კი, რა თქმა უნდა. საინტერესო სეზონი იქნება.“

საყვარელი კალათბურთელი?

ლუკა: „კევინ დიურანტი, თუმცა, ვალიარებ, რომ ლებრონ ჯეიმსი უძლიერესია.“

მიტალი ჯაფარიძე



მოვლენის შედეგ

მაინს რა დავს იმ ბურთში?

ამერიკის შეერთებული შტატებისა და რუსეთის პრეზიდენტების პელსინკიში გამართული შეხვედრის დასასრულს მოწოდებლად ერთობლივ პრესკონფერენციაზე ვლადიმერ პუტინმა დონალდ ტრამპს ცოტა ხნის წინათ დამთავრებული ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის ბურთი აჩუქა.

ამ დროს პუტინმა ტრამპს უთხრა, რომ ახლა ბურთი მის მხარეზეა, რაც ინიციატივებთან დაკავშირებით მინიშნებაც იყო და იმის ერთგვარი ქარაგმაც, რომ 2026 წელს მსოფლიო ჩემპიონატს ფეხბურთში მექსიკასთან და კანადასთან ერთად ამერიკის შეერთებული შტატებიც უმასპინძლებს.

მაშინ დონალდ ტრამპმა კმაყოფილება თქვა, რომ ბურთს თავის მოზარდ ვაჟი შვილს ბარონს გადასცემდა. არადა, ამ არც თუ დიდ

დად პროტოკოლურმა მომენტმა ამერიკულ მასმედიაში აუარება კომენტარი გამოიწვია. კერძოდ, სენატორმა ლინდსი გრემმა ბურთის საგანგებო შემოწმება მოითხოვა იმის დასადაგენად, ხომ არ არის მასში ჩამონტაჟებული რაიმე მოსასმენი აპარატურა, ანდა სხვა ტიპის ჯაშუშური მოწყობილობა. გარდა ამისა, სენატორმა პრეზიდენტს ისიც კი მოუწოდდა, რომ ეს ბურთი „თეთრ სახლში არასდროს შეიტანოს“.

თუმცა, ამტყდარი ვნებათაღელვა ეროვნული დაზვერვის თავკაცმა დანიელ კოუტსმა ჩაახშო, რომელმაც კრიტიკოსთა დასამშვიდებლად განაცხადა, რომ „ბურთმა სტანდარტული შემოწმება გაიარა“, რაც პრეზიდენტისთვის ყველა მირთმეული ნივთისთვის სავალდებულო პროცედურაა.

დალი ხუნდაძე



რბაზი

სეზონის ფინალი - „სელტიკ პარკზე“

პრო 14-ის 2018/2019 წლების სეზონის ფინალი „სელტიკ პარკზე“ გაიმართება. აღნიშნული ინფორმაცია გათამაშების ოფიციალურმა ვებ-გვერდმა დაადასტურა.



„სელტიკ პარკი“ საფეხბურთო კლუბ „სელტიკის“ სტადიონია, რომელიც 1892 წელს აშენდა და 60411 მაყურებელს იტევს. ამრიგად, ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც პრო 14-ის ფინალი არატრადიციულ სარაგბო არენაზე ჩატარდება. სეზონის გადამწყვეტი შეხვედრა 25 მაისს შედგება.

2016 წლიდან მოყოლებული, პრო 14-ის ფინალური მატჩი დიდ სტადიონზე ეწყობა და სამივე განვლილ ფინალში დასწრება უმჯობესდებოდა. 2016 წელს შოტლანდიურ „მარიფილდზე“ გამართულ მატჩს 34500 ადამიანი დაესწრო, ბოლო ორი ფინალი კი დუბლინში, „ავივა სთედიუმზე“ ჩატარდა: 2017 წელს 45556 ადამიანმა მოიყარა თავი, ხოლო 2018 წელს 46092 გულშემატკივარი დაესწრო, რაც ამ ტურნირის ფინალების რეკორდია.

კობა კობახიძე



რუსეთში ჩატარებული მსოფლიო ჩემპიონატი უკვე ისტორიის კუთვნილებაა და საფეხბურთო სამყაროს ყურადღება ახლა ერთა ლიგის მომავალი საშემოდგომო ასპარეზობისკენაა მიმართული. თუმცა, განვლილი მუნდიალის პერიმეტრების გარკვეული ასპექტები კვლავაც სპეციალისტების, სპორტის სტატისტიკის მოყვარულთა ყურადღების ცენტრში რჩება, რომელთა დანაშაულებით ჩემპიონატის ისედაც მრავალფეროვანი პალიტრა კიდევ უფრო ხასხასა ხდება.

მსოფლიოს ჩემპიონატი ფეხბურთში მართლაც ბევრი გარემოებით იყო გამორჩეული. მაგალითად,

მუნდიალის პალიტრა

საკმარისია იმის თქმა, რომ:

- ისტორიაში პირველად ის ერთბაშად ორ კონტინენტზე – ევროპასა და აზიაში ჩატარდა;
- სტადიონებზე მაყურებელთა დასწრებამ 98 პროცენტი, ტურნირის ტელეაუდიტორიამ კი 3 მილიარდი კაცი შეადგინა;
- არბიტრის ვიდეო ასისტენტის სისტემამ (ვარ) პირველი გამოცდა წარმატებით ჩააბარა;
- დოპინგის არც ერთმა ტესტმა დადებითი შედეგი არ აჩვენა;
- წესრიგს ჩემპიონატზე 34 სახელმწიფოს 55 სპეცსამსახურის 126 წარმომადგენელი იცავდა;
- ნულოვანი ფრების გარეშე ჩემპიონატზე შეხვედრების რეკორდული რიცხვი შედგა – 63 მატჩი.
- ჩემპიონატის ყველაზე ასაკოვანი ფეხბურთელი ეგვიპტის ნაკრების მეკარე ესამ ელ-შადარი იყო – 45 წელი და 161 დღე;
- მუნდიალის ფლეი-ოფის შეხვედრებში მონაწილე გუნდების ყველაზე ასაკოვანი მწვრთნელი ურუგვაელი ოსკარ ტაბარესი გახდა (71 წელი და 119 დღე);
- ყველაზე „გვიანი“ გოლი ბრაზილია-კოსტარის შეხვედრაში ნეიმარმა მე-7 კომპენსირებულ წუთზე გაიტანა, რომელმაც 1982 წელს მაქსიმ ბოსის მიერ დამყარებული რეკორდი 45 წამით გააუმჯობესა;
- ამ ჩემპიონატზე ფლეი-ოფის დამატებით დროში მე-4 შეცვლის წესი პირველად იქნა გამოყენებული;
- დაინიშნა მუნდიალის რეკორდული რიცხვი – 24, რომელთაგან რეალიზებული იქნა 18.

ნიკო ალექსანდრია

ინტერნეტიდან

შარლოტასა და ფლორინის აბაჟი

რუსეთში გამართული მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატი არცთუ ისე დიდი ხნის წინათ დასრულდა და ფრანგული ფეხბურთის გულმხმურველედ მოტრფილად გულშემატკივრების გარდა ვინმეს გახსოვთ „სამფეროვანთა“ ნაკრების მობურთალი ფლორინ ტოვენი? აი, ბულვარულ მედიას კი ძალიან კარგად ახსოვს!

იგი მსოფლიოს ჩემპიონი კი გახდა და ამის აღსანიშნავად მედალიც დაკიდა, მაგრამ მუნდიალს „მარსელის“ ახალგაზრდა ფეხბურთელმა სათადარიგოთა სკამიდან უყურა, რაზეც, ცხადია, როგორც ნებისმიერ თავმოყვარე სპორტსმენს, ფლორინსაც ძა-

ლიან დასწყებოდა გული. ბულვარულ მედიას კი რაც შეეხება, ამ ბიჭისადმი „ყვითელი მოკალმეების“ ინტერესი მისმა ცნობილმა და ულამაზესმა სატრფომი, 2014 წელს „მის საფრანგეთად“ დასახელებულმა შარლოტა პირონმა განაპირობა. ამ გოგონამ მასზე შეყვარებული მრავალი ჯეელი განაგდო და ყველას ბეყერა ტოვენის ამჯობინა, რითაც მუსიკის ფლორინი დიდად ბედნიერია და ამ ნეტარების ჟამს სათადარიგოთა სკამის ხეხვისგან გაცვეთილი სხეულის ტკივილიც ავიწყდება.

გიორგი შოთაძე



უცხოელი ბურიაუნი

ბახმაროს განვითარებით ბერძენელის პარალელურად. ჩინი და კანადელი ინვესტორებიც დაინტერესდნენ

კურორტ ბახმაროს განვითარებით უცხოელი ინვესტორები ინტერესდებიან. ამის შესახებ „კომერსანტს“ გურიის გუბერნატორმა მერაბ ქანუყვაძემ განუცხადა. მისი ინფორმაციით, მას შემდეგ, რაც ადგილზე მოეწყო საკომუნიკაციო სისტემები, ინვესტორებთან შეთავაზება უფრო მარტივი იქნება.

ქანუყვაძის განცხადებით, ამ დროისთვის ბახმაროს განვითარებით გერმანელი, ჩინი და კანადელი ინვესტორები ინტერესდებიან. დიდია ინტერესი ადგილობრივი ბიზნესმენის მხრიდანაც. „ჩვენთვის მნიშვნელოვანია საუკეთესო ვარიანტის შერჩევა. ვთანამშრომლობთ ეკონომიკის სამინისტროსთან. ვინც უკეთეს ვარიანტს შემოგვთავაზებს, იმასთან ვთანამშრომლებთ“, — აცხადებს ქანუყვაძე.



გურიის გუბერნატორის ინფორმაციით, 2018-2019 წლებში იგეგმება ახალი ელექტროგადამცემი საზღვის მშენებლობა, რაზეც ბიუჯეტიდან 15 მილიონი ლარია გამოყოფილი. წელს ადგილზე მოხდება ქსელის ელექტრიფიცირებაც. ქანუყვაძის განცხადებით, ცალკე გადის 35-კილოვოლტიანი გადამცემი საზღვის მშენებლობა, რომელიც 4-სუბსონიანი კურორტის განვითარების შემთხვევაში ძალიან მნიშვნელოვანი იქნება. მას შემდეგ კი რაც კურორტზე საკომუნიკაციო სისტემები მოწესრიგდება, მათ მიერ შერჩეული ინვესტორი ბახმაროს განვითარებას დაინტერესდება. „ეს პროექტის დაახლოებით, 2020 წლიდან დაიწყება“, — აცხადებს ქანუყვაძე.

როგორც ცნობილია, რამდენიმე დღის წინ ბახმაროს კანადელი ბიზნესმენი ვადიმ მალიშვიცი სტუმრობდა. მისი თქმით, ამ დროისთვის მიმდინარეობს მოლაპარაკება ეკონომიკის სამინისტროსთან უძრავი ქონების შესყიდვის შე-

საძლებლობებზე: „მსურს, ბახმაროში ავაშენო კოტეჯის ტიპის სახლები, სადაც დამსვენებლებს მასპინძლობას ოჯახები გაუწევინებ. ყველა კოტეჯში წარმოდგინილი იქნება საქართველოს სხვადასხვა კუთხის ეთნოსი და სტუმარ-მასპინძლობის თავისებურებანი. ვანარმობ მოლაპარაკებას ეკონომიკის სამინისტროსთან უძრავი ქონების შესყიდვის შესაძლებლობებზე. გუბერნატორმა ბიზნესის დანების და განვითარების კუთხით მაქსიმალური მხარდაჭერა აღმოქცევა, რისთვისაც ვუხედავ მაგალითებს. ჩემთვის მნიშვნელოვანია, დამსვენებლებს შევთავაზო ბახმარო პირველ რიგში როგორც სამკურნალო თვისებების მატარებელი კურორტი“, — აცხადებს მალიშვიცი.

შეგახსენებთ, რომ მთავრობამ კურორტ „ბახმაროს განვითარება პრიორიტეტად 2015 წლის თებერვალში დაასახელა. მაშინ ითქვა, რომ შეიქმნებოდა სპეციალური ჯგუფი, რომელიც კურორტის განვითარების კომპლექსურ ღონისძიებებს დასახავდა მიზნად.

„ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ასეთი კურორტების პოტენციალი იქნეს ბოლომდე ათვისებული, რადგან ტურიზმი გახლავთ ჩვენი ერთ-ერთი უმთავრესი დარგი“, — აღნიშნავდა 2015 წელს მაშინდელი პრემიერ-მინისტრი გიორგი კვიციანი. იმავე პერიოდში გურიის გუბერნატორი აცხადებდა, რომ კურორტის განვითარებას გერმანელი ინვესტორი ინგო შლუტიუსი გეგმავდა. უნიკალური კურორტი ბახმარო ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, აჭარა-გურიის მთავრესილზე, ზღვის დონიდან 2050 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს.


სოფო ძსოველი

მთავარი ტელეკომპანიის სასაქონლო ასპირანტი!

„აბასთუმნის ობსერვატორია ტურისტებს სრული დატვირთვით ვერ ემსახურება, რადგან დიდი ტელეკომპანია დაზიანებულია. ობსერვატორიის რეაბილიტაციის გარდა ახალი ტელეკომპანიის სჭირდება და სახელმწიფომ ამისთვის, ფულადი სახსრები აუცილებლად უნდა გაიღოს“ — ეს კომენტარი „კომერსანტთან“ აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის უფროსმა მკვლევარმა შოთა ინასარიძემ გააკეთა.

მკვლევარის ინფორმაციით, მთავარი ტელეკომპანის ექსპლუატაციაში პრობლემა 2011 წელსაც აღინიშნა, თუმცა სახელმწიფოს მხრიდან შესაბამისი თანხის მოძიება ვერც მაშინ მოხერხდა. „2011 წელს 125-სანტიმეტრიანი ტელესკოპის დეტალი გაფუჭდა და მის აღდგენას ნახევარი მილიონი ლარი სჭირდებოდა. მაშინ ჩესმა ინვესტორებმა აღდგენის

ნობა ობსერვატორიაში კიდევ უფრო გაიზარდა. ობსერვატორია ადგილობრივი ტელეკომპანიაში, სამხრეთ საქართველოში, თბილისიდან 250 კმ-ის დაშორებით მდებარეობს. ობსერვატორია 1932 წელს ეგვიპტის ხარაბე დაარსდა. ეს ობიექტი პირველი სამთო ასტროფიზიკური ობსერვატორიაა ყოფილ საბჭოთა კავშირში. ობსერვატორიის სამეცნიერო კვლევების ძირითადი მიმართულებებია გალაქტიკების, ვარსკვლავების, მზის სისტემების ცდომილების და ზედა ატმოსფეროს შესწავლა. ობსერვატორიას წელიწადში დაახლოებით 10 ათასი ტურისტი სტუმრობს. ობიექტი 33 ჰექტარზეა განთავსებული.



სურვილი გამოთქვას, თუმცა თანხის მოძიება ვერ მოხდა“, — აღნიშნა ინასარიძემ. ობსერვატორიაში ამჟამად ტურისტების მიღება მეორე შედარებით მცირე მეტრიან ტელესკოპზე მიმდინარეობს. დღის განმავლობაში ობიექტს 150-200 ტურისტი სტუმრობს. თუ დიდი ტელესკოპის რეაბილიტაცია მოხდება, ვიზიტორთა რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდება.

თადი მიმართულებებია გალაქტიკების, ვარსკვლავების, მზის სისტემების ცდომილების და ზედა ატმოსფეროს შესწავლა. ობსერვატორიას წელიწადში დაახლოებით 10 ათასი ტურისტი სტუმრობს. ობიექტი 33 ჰექტარზეა განთავსებული. ობსერვატორია უკავშირდება კურორტ აბასთუმანს საბაგიროთა, რომელიც გაიყვანა ბორ-

სამშრიალელ რედაქციას

საქართველოს ჩოხოსანთა საზოგადოება ღრმა მწუხარებას გამოთქვამს და თანაუგრძობს მისი დიდებული ოჯახის წევრებს, ახლობლებს ჩვენი ერის ღვაწლმოსილი და ღირსეული მამულიშვილის, სიკეთის, სიცოცხლის, სიმართლის უანგარო ქომავლის და უღალატო მეგობრის

მოთარ აბრამის ძე სარჩილას

გარდაცვალების გამო. მშვიდობით, ბატონო მოთარ, მარადიულ ნათელს გისურვებთ ზეციურ საქართველოში!

მინდია სალუქვაძე, ზაურ ტყეშელაშვილი, ფრიდონ ინჯია, ფარდინაფ ლორთქიფანიძე, თამაზ ჯაღალღონია, მოთარ გოგინია, გურამ ზნებელია, ნინო ქაპითაძე, არისტინე მამასახლისი, მირაზ კირკიტაძე, ნუგზარ ბირკაძე, თამარ თაბაძე, გორა ნაშაძე, იაგო შიოლაშვილი, ილია დოლიძე, გულაბერი ანანიაშვილი, ლაშა ზარათაშვილი, ვაზარ ნიკოლაძე, ლევან როხვაძე, შალვა ნიკოლაძე, ავთო როხვაძე.

საქართველოს ჩოხოსანთა საზოგადოება ღრმა მწუხარებას გამოთქვამს და თანაუგრძობს მისი დიდებული ოჯახის წევრებს, ახლობლებს ჩვენი ერის ღვაწლმოსილი და ღირსეული მამულიშვილის, სიკეთის, სიცოცხლის, სიმართლის უანგარო ქომავლის და უღალატო მეგობრის

მოთარ აბრამის ძე სარჩილას

გარდაცვალების გამო. მშვიდობით, ბატონო მოთარ, მარადიულ ნათელს გისურვებთ ზეციურ საქართველოში!

მინდია სალუქვაძე, ზაურ ტყეშელაშვილი, ფრიდონ ინჯია, ფარდინაფ ლორთქიფანიძე, თამაზ ჯაღალღონია, მოთარ გოგინია, გურამ ზნებელია, ნინო ქაპითაძე, არისტინე მამასახლისი, მირაზ კირკიტაძე, ნუგზარ ბირკაძე, თამარ თაბაძე, გორა ნაშაძე, იაგო შიოლაშვილი, ილია დოლიძე, გულაბერი ანანიაშვილი, ლაშა ზარათაშვილი, ვაზარ ნიკოლაძე, ლევან როხვაძე, შალვა ნიკოლაძე, ავთო როხვაძე.

საქართველოს ჩოხოსანთა საზოგადოება ღრმა მწუხარებას გამოთქვამს და თანაუგრძობს მისი დიდებული ოჯახის წევრებს, ახლობლებს ჩვენი ერის ღვაწლმოსილი და ღირსეული მამულიშვილის, სიკეთის, სიცოცხლის, სიმართლის უანგარო ქომავლის და უღალატო მეგობრის

მოთარ აბრამის ძე სარჩილას


გარდაცვალების გამო. მშვიდობით, ბატონო მოთარ, მარადიულ ნათელს გისურვებთ ზეციურ საქართველოში!

მინდია სალუქვაძე, ზაურ ტყეშელაშვილი, ფრიდონ ინჯია, ფარდინაფ ლორთქიფანიძე, თამაზ ჯაღალღონია, მოთარ გოგინია, გურამ ზნებელია, ნინო ქაპითაძე, არისტინე მამასახლისი, მირაზ კირკიტაძე, ნუგზარ ბირკაძე, თამარ თაბაძე, გორა ნაშაძე, იაგო შიოლაშვილი, ილია დოლიძე, გულაბერი ანანიაშვილი, ლაშა ზარათაშვილი, ვაზარ ნიკოლაძე, ლევან როხვაძე, შალვა ნიკოლაძე, ავთო როხვაძე.

1 აპრილიდან ტაქსების რეგისტრაცია იწყება

ტაქსით მომსახურების წესების მიღება შეუძლია ფიზიკურ პირს, რომელსაც აქვს მართვის მოწმობა და სურს ანაზღაურების სანაცვლოდ მგზავრთა გადაყვანა, ავტოსატრანსპორტო საშუალებით, რომელსაც მძღოლის საკვარძლის გარდა, არაუმეტეს 8 დასაჯდომი ადგილი აქვს. ნებართვის მისაღებად აუცილებელია ელექტრონული განცხადების შევსება ვებგვერდზე www.taxi.tbilisi.gov.ge

ლიპა გურაბანიძე



„საბას“ გამარჯვებულთა დაჯილდოება წლეულს გერმანიაში გაიმართება

ლიტერატურული კონკურსის „საბა“ ჟიურიმ, კონკურსის 10 ნომინაციიდან, 5 ნომინაციის ფინალისტები დაასახელა. ფინალისტების სია ასე გამოიყურება:

საუკეთესო რომანი:

1. გურამ ბათიაშვილი, „ელიგულა და კავა“ (გამომცემლობა „ინტელექტი“);
2. მარი ბექაური, „ანას მომენტი“ (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა);
3. ლაშა ბულაძე, „პატარა ქვეყანა“ (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა);
4. დავით გაბუნია „დაშლა“ (გამომცემლობა „ნიგნები ბათუმში“);
5. თამარ თანდაშვილი, „მატერიკონი“ (გამომცემლობა „სიესტა“).

საუკეთესო პროზაული კრებული:

1. თონა დოღენაშვილი, „პერსონალური ქრისტი“ (გამომცემლობა „ინტელექტი“);
2. ლევან მუსხელიშვილი, „მოკლე მოთხრობები“ (გამომცემლობა „სეზანი“);

საუკეთესო პოეტური კრებული:

1. გიორგი არაბული, „გვინი“ (გამომცემლობა „ინტელექტი“);
2. სოსო მუხეტიანი Arboles Altos (გამომცემლობა „ინტელექტი“);
3. ზურაბ რთველიაშვილი, „პოეზიის დიქტატურა“ (გამომცემლობა „ინტელექტი“);
4. პაატა შამუგია, „დედაენა“ (გამომცემლობა „ნიგნები ბათუმში“);
5. ბელა ჩეკურიშვილი, „სიშიშვის დეტექტორი“ (გამომცემლობა „ინტელექტი“);

საუკეთესო ლიტერატურული დებიუტი:

1. საბა ლეკვეიშვილი (მთარგმნელი), რეიჩელ კონი, დევიდ ლევიტანი „ნიკის და ნორას უსასრულო ფლეილისტი“ (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა);
2. გაბრიელ ტანიე, „ქანაანის შვილები“ (გამომცემლობა „ინტელექტი“);
3. ზურა ჯიშკარიანი, „საღვთი განთიადები: უშაქროდ“ (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა);

საუკეთესო ესეისტიკა და დოკუმენტური პროზა:

1. სოსო მუხეტიანი, „ქუნარეშ“ (გამომცემლობა „ინტელექტი“);
2. ირმა ტაველიძე, „სტალინის ნაძვები და სხვა ტექსტები“ (გამომცემლობა „დიოგენე“);
3. მარინა ქარცივაძე, Modus Vivendi (გამომცემლობა „ქოლგა“).

საუკეთესო ქართული თარგმანის ნომინაციის ფინალისტების ვინაობა სექტემბერში გასაჯაროვდება. ქართული ნაწარმოების საუკეთესო უცხოენოვანი თარგმანი; ქართული ლიტერატურის საუკეთესო უცხოენოვანი კრიტიკა; ქართული ლიტერატურის საუკეთესო უცხოენოვანი გამომცემლობა; პრემია ქართულ-გერმანულ ლიტერატურულ ურთიერთობებში შეტანილი წვლილისათვის – ამ 4 ნომინაციის გამარჯვებულები კი, ფინალისტების დასახელების გარეშე, უშუალოდ დაჯილდოების ცერემონიაზე, 12 ოქტომბერს გახდება ცნობილი.

ყოველწლიური ლიტერატურული კონკურსი „საბა“ „თიბისიმ“ 2003 წელს დააფუძნა. წელს „საბას“ კონკურსი მეთექვსმეტედ ჩატარდება და ეს წელი პრემიის ისტორიაში განსაკუთრებული იქნება – წლევიანდელი დაჯილდოების საზეიმო ცერემონია გერმანიაში, ფრანკფურტის ნიგნის საერთაშორისო ბაზრობის ქართული პროგრამის ფარგლებში გაიმართება. როგორც ცნობილია, 2018 წლის ოქტომბერში, ფრანკფურტის ნიგნის საერთაშორისო ბაზრობაზე, რომელიც მსოფლიოში უდიდეს ბაზრობას წარმოადგენს, საქართველო საპატიო სტუმარი ქვეყნის სტატუსით წარდგება.

გასარკხნი... ტუალეტის ქაღალდი

რუსული გამოცემის „არგუმენტი ი ფაქტის“ ცნობით, ყაზახეთში მრავალჯერადი ტუალეტის ქაღალდი გამოიგონეს.


ეს სიახლე ინტერნეტის საკუთარი გვერდის მეშვეობით ყაზახეთის მუსლიმანთა დაურეგისტრირებელი კავშირის ხელმძღვანელმა მურატ თელიბეკოვმა გაავრცელა. მისი თქმით, ახალი მასალა ნანოტექნოლოგიების გამოყენებითაა შექმნილი, მისი მოხმარება კი დაუსრულებლად ხანგრძლივი დროის მანძილზე შეიძლება.



სამისოდ მისი ჩვეულებრივ სარეცხ მანქანაში მოთავსება საჭირო, ორი წუთის რეცხვის შემდეგ კი ქაღალდი კვლავ ახალივითაა, – აცხადებს პატივცემული მურატი.

თუმცა, სარედაქციო მინაწერში მითითებულია, რომ ბატონი თელიბეკოვი გამოგონილი ახალი ამბების გამავრცელებლად ცნობილი.

ჯერ კიდევ კვლად, ინდოეთსა და ეკვიტორში...



კატარაძეს, ანუ თვალის ბროლის ამღვრევას, რის გამოც მხედველობა უარესდება და ხშირად თვალისჩინის დაკარგვის მიზეზი ხდება, 70-75 წელს გადაცილებული თითქმის ყველა ადამიანი უჩივის.

კატარაძე საკმაოდ სერიოზული დაავადებაა, მაგრამ თუკი ადამიანი ექიმებს დროულად მიმართავს, დღესდღეობით თვალის ბროლს ხელოვნურით ძალიან ადვილად ანაცვლებენ.

კატარაძის ოპერირებას ძველ ინდოეთსა და ძველ ეგვიპტეში ჯერ კიდევ ათასწლეულების წინ ცდილობდნენ. შემდგომ თვალის ბროლს უბრალოდ თვალის შიგნით აგდებდნენ, რათა ის ბადურაზე მოსახვედრი სხივისთვის წინააღმდეგობად არ ქცეულიყო. მაგრამ ასეთი ოპერაციები საკმაოდ სარისკო იყო, თანაც მხედველობას სრულად არ ალადგენდა.

მოდ, ხელი დავიბანო!

ხელის ცივი წყლით დაბანა ისეთივე ეფექტური ყოფილა, როგორც ცხელით, – ესაა რეტგერსის უნივერსიტეტის (აშშ) მეცნიერთა გამოკვლევიდან გამოტანილი დასკვნა.

უნინ მიჩნეული იყო, რომ ცხელი წყალი ბაქტერიებს უკეთ აცილებს, მაგრამ ექსპერიმენტმა აჩვენა, რომ ცელსიუსის 15 გრადუსის ტემპერატურის წყალი ისევე აცილებს ბაქტერიებს, როგორც 38 გრადუსის ტემპერატურისა. ხელის დაბანისას წყლის ტემპერატურას მხოლოდ კომფორტის მხრივ აქვს მნიშვნელობა.



ექსპერტები იმასაც აღნიშნავენ, რომ ხელის დაბანის პროცესი არანაკლებ 20 წამისა უნდა გრძელდებოდეს, გამშრალებისას კი სასურველია ერთჯერადი ქაღალდის გამოყენება.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS REPUBLIKA
 კოსტავას ძ. №21

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
 299-02-10
 599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გომიაშვილი
 599 53-76-16;
ალექო ასლანიშვილი
 599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
 514 33-33-24

გამომცემლობა:
 შპს „მანადგომბა“-გაზეთი
 „საქართველოს რესპუბლიკის“
 გამომცემელი“
 ტ: 599 79-76-79
 შპს „ახალი საუკუნე“
 იბეჭდება გამომცემლობა
 „**ქოლორ პრესი**“
 რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
 ს-323
 ISSN 2233-3851

9 772233 1385001

ავტორთა საჩურადად!

რედაქციის მიერ
შუქვითაში მასალა
დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შინაქოლა, მუღამ არ ემთხვეოდა რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“
შენი გაზეთია, აუსილავლად გამოიწერა, იყიდა, წაიკითხე!

საქ	უხსოვარი პალატის კარსი: აშშ ფონი - 2.4474; პირი - 2.8591; ბრიტანული მიკროსა სტრუქტურა - 3.2090; 100 რუბლი - 3.9028; თურქული ლირა - 0.4995; ანარკაპიანული მანათი - 1.4398; 1000 სომხური დრამი - 5.0829.	აპრილი 1 აპრილსთვის აღმოსავლეთი საქართველო: ბარა - ლაპი +19, ლაპი +36 შიშანი რაიონები - ლაპი +14, ლაპი +36 დასავლეთი საქართველო: ბარა - ლაპი +21, ლაპი +34 შიშანი რაიონები - ლაპი +18, ლაპი +36 თბილისი: ლაპი +24, ლაპი +36	დაავიკაპით, მოგვწერათ: ტელ: 299-02-10, 599-79-76-79 ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge
------------	--	---	---